გურამ ჯურხაძე | დიმიტრი სილაქაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
gjurk21@freeuni.edu.ge | d.silakadze@freeuni.edu.ge

გზა ომისკენ – 1920-30-იანი წლების დასავლური დიპლომატია და მსგავსებები თანამედროვეობასთან

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მსგავსებები 1920-30-იანი წლების ნაცისტურ გერმანიასა და თანამედროვე რუსეთს მიმართ გატარებულ დიპლომატიას შორის. ამ ორ პერიოდს შორის არსებული მსგავსებების ანალიზი გვეხმარება სამომავლო შეცდომების იდენტიფიცირებასა და თავიდან არიდებაში. მეორე მსოფლიო ომი, ისევე, როგორც 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომი, მხოლოდ აგრესორი ქვეყნების ქმედებებით არ აიხსნება, მათში დიდი როლი დემოკრატიული ქვეყნების არასწორმა დიპლომატიამაც შეასრულა.

ხშირად მოგვისმენია შედარებები 1930-იან წლებში ნაცისტური გერმანიის მიმართ გატარებულ დაშოშმინების პოლიტიკასა და რუსეთის მიმართ აშშ-სა და ევროპული ქვეყნების ნაწილის მიერ გატარებულ პოლიტიკას 2000-იანი წლებიდან 2022 წლამდე. ის მსგავსებები, რომლებიც რუსეთისა და ნაცისტური გერმანიის საგარეო პოლიტიკას შორის არსებობს, შემთხვევითი არაა. მათი ქცევები გამომდინარეობს იმ საერთაშორისო წესრიგის თავისებურებებიდან, რომლებსაც ისინი ეწინააღმდეგებიან. შეიძლება, თანამედროვე მსოფლიო წესრიგი უფრო მდგრადია, ვიდრე 1920-30-იანი წლების, თუმცა, ამ ორ სისტემას ბევრი სტრუქტურული საერთო აქვს, მათ შორის - კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მსგავსია ასევე ის პასუხისმგებლობები, რომლებიც დემოკრატიულ ქვეყნებს გააჩნიათ ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მსგავსებებთან ერთად არსებობს განსხვავებებიც - 2022 წელს რუსეთის აგრესიაზე პასუხი იმაზე ეფექტური და ერთიანი იყო, ვიდრე ამას მაშინ პუტინი მოელოდა. დასავლეთის ქვეყნებმა ომის საწყის ეტაპზევე შეძლეს უკრაინისთვის აუცილებელი შეიარაღების მიწოდება. ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ბევრად ეფექტურია, ვიდრე ეს ომთაშორის პერიოდში იყო. თუმცა, გამოწვევები და პრობლემები ჯერ კიდევ ძალიან ბევრია და მათთან გასამკლავებლად აუცილებელია სწორი დიპლომატიის გატარება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი; ნაცისტური გერმანია; რუსეთ-უკრაინის ომი; ომთაშორისი დიპლომატია

მსგავსებებზე საუბრისას, პირველ რიგში ხაზი უნდა გავუსვათ წინაპირობებს: ჰიტლერმაც და პუტინმაც ძალაუფლება მოიპოვეს ახლად დამარცხებულ ქვეყნებში, (გერმანია - პირველ მსოფლიო ომში, რუსეთი კი - ცივ ომში) რომლებიც თავს მოტყუებულად და უსამართლოდ დაჩაგრულად გრძნობდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი განსხვავება - ვერსალის ზავმა გერმანიას დააკისრა ომის მთელი მორალური და ეკონომიკური პასუხისმგებლობა, რამაც გერმანიაში გამარჯვებული ქვეყნების მიმართ მტრობის განცდა გააღვივა. საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთს არანაირი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია, დასავლურმა ქვეყნებმა კი მისი ინტეგრაციის მცდელობები დაიწყეს. ის ფაქტი, რომ ამ დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, შედეგი ერთი მივიღეთ, მაფიქრებინებს, რომ პრობლემა სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ჰენრი კისინჯერი წერს, რომ პარიზის კონფერენცია გამოდგა ზედმეტად სადამსჯელო გერმანიასთან შერიგებისთვის, ხოლო, ზედმეტად სუსტი - გერმანიის შესაკავებლად. (კისინჯერი, 2021, გვ. 307). მართლაც, პარიზის შეთანხმება არის დიპლომატიისადმი ორი სრულიად განსხვავებული მიდგომის შუალედური ვარიანტი, რომელმაც, საბოლოოდ, ვერც ერთ იმ მიზანს მიაღწია, რომელიც დასახული ჰქონდათ. ცხადია, რომ მეორე მსოფლიო ომის ან რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის თავიდან არიდება ვერსალის ზავის თუ ცივი ომის დასრულების შემდეგაც შეიძლებოდა. გერმანიაში ჰიტლერის და რუსეთში პუტინის აღზევებაც შეიძლება მოვლენების მეტ-ნაკლებად ბუნებრივ განვითარებას მივაწეროთ. თუმცა, ორივე შემთხვევაში, დასავლურმა ქვეყნებმა დაუშვეს მსგავსი, გადამწყვეტი შეცდომა - ზედმეტად ადრე დაიწყეს შერიგების პოლიტიკაზე გადასვლა. იმისთვის, რომ შერიგების პოლიტიკამ წარმატებას მიაღწიოს, მხარეები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მტრობა წარსულს ჩაბარდა და ურთიერთობები ახალი ფურცლიდან უნდა დაიწყოს. თუმცა ჰიტლერი, ისევე, როგორც პუტინი, ელოდებოდა შურისძიების შანსს იმისთვის, რაც, როგორც ზემოთ ვახსენე, მათი აზრით, უსამართლოდ წაგებული ომი იყო. გამარჯვებული მხარეები ცდილობდნენ, მათ თვალში, დასრულებული ომის შემდგომი უსაფრთხოების სისტემის მშენებლობას, დამარცხებული ქვეყნის ლიდერები კი ომის გაგრძელების შანსს ელოდებოდნენ. „გამარჯვებული გამარჯვებული არაა, თუ დამარცხებული თავს დამარცხებულად არ მიიჩნევს“ - რომაელი ავტორის, კვინტუს ენიუსის ეს ციტატა კარგად მიესადაგება ორივე ამ შემთხვევას.

ბუნებრივია, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გამარჯვებულ ქვეყნებში ომი აღარავის სურდა. ამერიკის პრეზიდენტს, ვუდრო უილსონს იმედი ჰქონდა, რომ ეს იქნებოდა „ომი, რომელიც ყველა ომს დაასრულებდა“. იგივე განწყობა იყო 1990-იანებში დასავლეთში, სადაც პოპულარული იყო „ისტორიის დასასრულის“ იდეა. თუმცა, ორივე შემთხვევაში, მშვიდობას სჭირდებოდა დაცვა - ის უბრალოდ, თავისით არ შენარჩუნდებოდა, რადგან დამარცხებული ქვეყნები ფუნდამენტურად გარდაქმნილნი არ იყვნენ. პარიზის სისტემამ ვერ მოახერხა გერმანიისთვის ებიძგა ომის შემდეგ საკუთარი შეცდომების გამოსწორებისკენ, წინა რეჟიმის შეცდომებისგან დისტანცირებისკენ (Murray 2009:231). ე.წ. „მორალური ბრალეულობის“ გერმანიაზე დაკისრებამ მდგომარეობა მხოლოდ გაამწვავა. განსხვავებული მიზეზების გამო, ვერ მოხდა ეს 1990-იანი წლების რუსეთშიც. ამერიკელი მკვლევარი, რობერტ კეიგენი, თავის წიგნში „ისტორიის დაბრუნება და ოცნებების დასასრული“ , 1990-იანების რუსეთთან დაკავშირებით წერს, რომ სხვადასხვა გეოპოლიტიკური პრობლემები, რომლებიც რუსეთის გარშემო შეიქმნა, „მოგვარებადი იქნებოდა მანამ, სანამ რუსეთი პოსტ-მოდერნულ, ინტეგრაციულ, დემოკრატიულ გზაზე იდგებოდა“. ანუ, თუ რუსეთში ხელისუფლების სათავეში ავტორიტარული მმართველი მოვიდოდა, მას მის გარშემო შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების გამოყენება თავის სასარგებლოდ შეეძლო. (Kagan, 2008, p. 22) ამას მხოლოდ გამარჯვებულ ქვეყნებს ვერ დავაბრალებთ, თუმცა, არსებობს დამარცხებული ქვეყნების საერთაშორისო სისტემაში მეტ-ნაკლები წარმატებით ინტეგრაციის მაგალითებიც - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია და იაპონია, ნაპოლეონის ომების შემდეგ საფრანგეთი. რუსეთის შემთხვევაში, ბუნებრივია, მდგომარეობა განსხვავდებოდა, რადგან საბჭოთა კავშირის მარცხი არ იყო იმდენად აშკარა, როგორიც ბრძოლის ველზე დამარცხებული სახელმწიფოების. თუმცა, შინაარსობრივად, პროცესები იგივენაირად განვითარდა.

„პაციფიზმი, რომელმაც მშვიდობის მაგივრად, ომი მოიტანა“ - ასე აფასებდა გერმანელი მწერალი, თომას მანი, 1930-იან წლებში ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ გერმანიის მიმართ გატარებულ პოლიტიკას. (Applebaum 2024:39) დაშოშმინების პოლიტიკა ზოგჯერ გამართლებულია, თუმცა ის კონტექსტი, რომელსაც ზემოთ გავუსვი ხაზი, ბევრ რამეს ცვლის. ომთაშორის პერიოდში არსებობდა ბუნებრივი განცდა, რომ გერმანია ზედმეტად დაისაჯა პარიზის ხელშეკრულებით. ამ შეცდომის გამოსყიდვის მცდელობა იყო დაშოშმინების პოლიტიკა. ბრიტანეთი, თავისი ტრადიციული ძალთა ბალანსის მიდგომიდან გამომდინარე თვლიდა, რომ გერმანიის მოძლიერება მშვიდობისთვის უკეთესი

იქნებოდა, თუმცა მათ ვერ შეაფასეს სწორად არსებული რეალობა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ძალთა ბალანსის სასწორი არასწორ მხარეს გადაწონეს.

თომას მანის ზემოთ მოყვანილი ციტატა, ამერიკელ ჟურნალისტს და ისტორიკოსს, ენ ეფლბაუმს მოჰყავს მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში. დაშოშმინების პოლიტიკის გასამართლებლად ხშირად იყენებენ მშვიდობას, თუმცა მოკლევადიანი მშვიდობა შეიძლება გრძელვადიან ომს უმზადებდეს ნიადაგს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წამოწეულმა იდეალისტურმა ხედვებმა, რომ საყოველთაო მშვიდობა დამყარდებოდა, არ გაამართლა. გარკვეულწილად, ამ ილუზიამ შეუწყო ხელი რუსეთის აგრესიას ჯერ 2008 წელს საქართველოში, 2014 წელს უკრაინაში, შემდეგ კი უკვე იმ ომს, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე უკვე მეოთხე წელია მიმდინარეობს.

რუსეთის აგრესია, ისევე, როგორც 1930-იან წლებში, გერმანიის, გარკვეულწილად იხსნება ძალაუფლების ვაკუუმით. გერმანია გრძნობდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში გეოგრაფიულად ჰქონდა ხელ-ფეხი შეხსნილი, დიპლომატიურად კი - მთელ ევროპაში. არ არსებობდა არც შემაკავებელი და არც სადამსჯელო მექანიზმი, რომელიც მას თავის ქმედებებზე დააფიქრებდა. რუსეთი 2022 წელს მიიჩნევდა, რომ მსგავსი ძალაუფლების ვაკუუმი იყო შექმნილი აღმოსავლეთ ევროპაში და უკრაინაზე მის შეტევას მნიშვნელოვანი რეაქცია არ მოჰყვებოდა. ევროპული ქვეყნების შეიარაღების შემცირებამ, მათ დიპლომატიურ და პოლიტიკურ შერბილებასთან ერთად, აფიქრებინა რუსეთს, რომ უკრაინაში მას წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა.

დაშოშმინების პოლიტიკის მაგივრად, ორივე შემთხვევაში, აუცილებელი იყო აგრესიაზე შესაფერისი პასუხის გაცემა. ამერიკელი დიპლომატი ვეს მითჩელი წერდა, რომ ძალაუფლების მსურველი ქვეყნები დომინანტი ძალის სტრატეგიული პოზიციების გამოსაწვევად იყენებდნენ ე.წ. „პერიფერიების გამოცდას“. თავდაპირველად, მცირე კონფლიქტების პროვოცირებით ან კომპრომისების წაყენებით, როგორც ნაცისტური გერმანია, ისე - პუტინის რუსეთი, მიზნად ისახავდნენ დომინანტი ძალის გავლენის სფეროს შესახებ ინფორმაციის მიღებას (Grygiel & Mitchell 2011: 12).

ორივე შემთხვევაში, ჰიტლერმაც და პუტინმაც, წამყვანი ქვეყნების (ბრიტანეთი, საფრანგეთი, ერთა ლიგა 1930-იანებში, აშშ / ნატო / დასავლეთ ევროპის ქვეყნები 2000-10-იანებში) უმოქმედობა აღიქვეს სიგნალად, რომ მათი აგრესია უპასუხოდ დარჩებოდა. მას შემდეგ, რაც ბრიტანეთსა და საფრანგეთს რეაქცია არ ჰქონდათ გერმანიის მიერ რაინლანდის რეოკუპაციაზე, ანშლუსზე, ჩეხოსლოვაკიის შემოერთებაზე, ჰიტლერი ფიქრობდა, რომ ის პოლონეთში შეჭრასაც ზედმეტი წინააღმდეგობის გარეშე შეძლებდა. მსგავსად, დასავლეთს არასაკმარისი რეაქცია ჰქონდა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომსა და 2014 წელს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე. ამის გამო, პუტინი 2022 წელსაც მცირე წინააღმდეგობას ელოდა დასავლეთისგან.

რუსეთის ნაბიჯები ყოველთვის მიმართული იყო არსებული საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაციისკენ. გერმანიის მსგავსად, ახალი წესრიგი მათაც არ აწყობდათ, მის შექმნაში მონაწილეობა ფაქტობრივად არ მიუღიათ და მასში თავს არაკომფორტულად გრძნობდნენ. გერმანიამ წარმატებით მოახერხა ეს, ჯერ კიდევ ჰიტლერამდე, როცა 1926 წელს ლოკარნოს ხელშეკრულება გააფორმეს და მხოლოდ დასავლეთის საზღვრები სცნეს, აღმოსავლეთის კი სამომავლოდ მოიტოვეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარიზის სისტემა იდგა თვითგამორკვევის პრინციპის არასრულყოფილ გაგებაზე, რომელიც პირველ რიგში სტატუს-კვოს შენარჩუნებას ანიჭებდა უპირატესობას. 1919 წელს ჩამოყალიბებული საზღვრები უნდა შენარჩუნებულიყო, სხვადასხვა ხალხების ეთნიკური წარმომავლობისა და სხვადასხვა პრეტენზიების მიუხედავად. გერმანელებმა ეს პრინციპი სრულიად მოშალეს, როცა ანშლუსი თვითგამორკვევის პრინციპის დაცვით გაამართლეს. იგივე მიზეზს იყენებს პუტინი თავისი აგრესიის გასამართლებლად. დღევანდელი საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპიც არის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაურღვევლობა, რისი მორღვევაც პუტინმა უკვე არაერთხელ სცადა. ახალი სახელმწიფოების შექმნის მხარდაჭერა, მსოფლიო

რუკის ცვლილება - ეს ის მეთოდებია, რომლითაც რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას ცდილობს. (Snyder, The Road to Unfreedom, 2018, p. 134)

ამ კონტექსტში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აშშ-ს როლი თანამედროვე მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებაში. პარიზის სისტემისა და ერთა ლიგის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მასში მონაწილეობას არ იღებდა მისი სულისჩამდგმელი ქვეყანა - აშშ. დღეს არსებული სისტემაც უპირველეს ყოვლისა აშშ-ს ინტერესებისა და ღირებულებების გარშემოა მოწყობილი. პირველ რიგში, აშშ-მ აუცილებლად უნდა განაგრძოს ნატოს ქვეყნების ურყევი მხარდაჭერა, რადგან კოლექტიური უსაფრთხოების პრიცნიპის გამართულად ფუნქციონირებისთვის, პოტენციური აგრესორი 100%-ით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ერთ ქვეყანაზე თავდასხმაც კი ძვირად დაუჯდება.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, 2022 წლამდე, ევროპის ქვეყნები რუსეთთან მიმართ ლმობიერნი იყვნენ, ღრმა ეკონომიკური ურთიერთობებია. აქცევდნენ. 2004-13 წლებში, ევროკავშირის გაზის იმპორტის 45%-მდე, რუსეთიდან შემოდიოდა. განსაკუთრებით მზარდი იმპორტიორი გერმანია იყო. შესაბამისად, გერმანიის საგარეო პოლიტიკა შეზღუდული გახდა - რუსეთს ის სანქციებით ვერ დაემუქრებოდა, თუ თავად ვერ მოახდენდა ენერგორესურსების წყაროების გამრავალფეროვნებას. მას შემდეგ, რაც რუსული ბუნებრივი აირის გერმანიასთან დამაკავშირებელი მილსადენის, ნორდ სტრიმის პროექტი არც 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ დაასრულა გერმანიამ, ნათელი იყო, რომ გერმანელები რუსეთის მიმართ არათუ სამხედრო ძალის ან მუქარის გამოყენებას, არამედ ეკონომიკური სანქციების გატარებასაც კი ვერ გაბედავდნენ (Applebaum, Autocracy Inc 2024:132).

2022 წლის უკრაინის ომი დაშოშმინების პოლიტიკას არ გამოუწვევია, თუმცა მან გავლენა მოახდინა მოსკოვის სტრატეგიულ გათვლებზე. დასავლეთში, რუსეთზე პასუხისმგებლობის დაკისრების სურვილის არარსებობამ, კრემლში შექმნა წარმოდგენა, რომ 2022 წელს, უკრაინაში შეჭრაზე დასავლეთს ისევ არ ექნებოდა რეაქცია, როგორც ეს საქართველოსა და ყირიმის შემთხვევაში მოხდა. ეს ილუზია 2022 წელს დაიმსხვრა და დასავლეთმაც შეწყვიტა დაშოშმინების პოლიტიკა, თუმცა ამ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, რუსეთს მანამდე რომ დაკისრებოდა სათანადო პასუხისმგებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთის ქვეყნები არ უნდა დაუბრუნდნენ დაშოშმინების პოლიტიკას და რუსეთის მოთხოვნებზე დამორჩილებას.

დემოკრატიების მიერ ავტორიტარების დაშოშმინება არასდროს გამოიწვევს მშვიდობას, რადგან ასეთ რეჟიმებს ომი სჭირდებათ გადასარჩენად. სწორი პოლიტიკა, ორივე შემთხვევაში, იქნებოდა მეტი აგრესიის, თუნდაც მუქარის გამოჩენა აგრესორთა წინააღმდეგ, რადგან მათი შეკავება მხოლოდ ძალას შეუძლია და არა დათმობებს. ის იდეალისტური ხედვები, რომელიც როგორც 1920-იან, ისევე - 1990-იან წლებში არსებობდა - რომ ომები წარსულს ჩაბარდება და სამუდამო მშვიდობა დაისადგურებს, არასდროს მართლდება. ყოველთვის იარსებებენ აგრესორები, რომელთაც არსებული საერთაშორისო წესრიგი არ აკმაყოფილებთ. რაც უფრო ნაკლებად მზად იქნებიან დემოკრატიები მათ შესაკავებლად, მით უფრო გაძლიერდებიან ისინი.